



მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Business Technologies

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი მერაბ მიქელაშვილი; პროფესორი ნინო ქავთარაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
(Master of Business Administration)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა - ბიზნესის ადმინისტრირებასა და ინგლისურ ენაში - დონე B2. ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

სწავლის ხანგრძლივობა:

პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 წლით (4 სემესტრი). სემესტრი მოიცავს 20 კვირას. სტუ-ში ერთი სემესტრის განმავლობაში 15 კვირა სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობების) და 5 – სასესიო (შუასემესტრული, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების).

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) მიხედვით, 1 კრედიტი 25 საათს უდრის და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. მაგისტრატურის - საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტი ითვისებს არანაკლებ 120 (ECTS) კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო ასევე კვლევით კომპონენტს: სასწავლო კომპონენტი - 90 (ECTS) კრედიტი, კვლევითი კომპონენტი - 30 (ECTS) კრედიტი;

პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამა მოიცავს: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს 75 (ECTS) კრედიტი და არჩევით სასწავლო კურსებს - 15 (ECTS) კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი : სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და **შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით**. შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებული „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესით“.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენამდე, მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, აგრეთვე განცხადება **სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების** თხოვნით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

სტუ-ში შესრულებული ნაშრომის პლაგიატი რეგულირდება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესით“.

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ✓ შეასწავლოს სტუდენტს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის

პრინციპების დაცვით ორგანიზაციების ფუნქციონირების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და მუშაობის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული საკითხები;

- ✓ აღჭურვის სტუდენტი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი, კონკურენტუნარიანი, ინოვაციური და კრეატიული იდეების განვითარებაზე ორიენტირებული, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, პრაქტიკული, სამეცნიერო და შემოქმედებითი მუშაობის უნარებით;

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ფლობს ციფრულ ეპოქაში ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიდგომებს, მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების, მათი რეალიზაციის სოციალური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა შედეგების შეფასების ღრმა და სისტემური ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და შესაძლებლობებს, საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირებულად დაცვის და ბიზნესის მართვის ფუნქციების რეალიზაციის სპეციფიკას;

ორგანიზაციის ეფექტიანად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, **განსაზღვრავს** ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიებს, საწარმოს მიწოდების ჯაჭვის სტრუქტურას;

შეუძლია ბიზნეს-პროცესების მართვის მეცნიერული ანალიზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე ბიზნეს-პროცესების მოდელირების ფორმების შერჩევა;

სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის საფუძველზე ბიზნესის მართვის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნით **ახდენს** არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების დაგეგმვას, როგორც ლოკალური ასევე, საერთაშორისო მასშტაბით;

სიახლეების ეფექტიანობის შეფასების მიზნით **შეუძლია** საწარმოს ინოვაციურ და საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით ახალი და რთული იდეების ანალიზი;

ახორციელებს ორგანიზაციის განსხვავებული ბიზნეს-მოდელისთვის დამახასიათებელი ნიშნების (მათ შორის სტრატეგიული მენეჯმენტის, კორპორაციული ფინანსების, მარკეტინგის მენეჯმენტის, საგადასახადო პოლიტიკის და ა.შ.) სისტემატიზაციას, სხვადასხვა ნიშან-თვისებებით ინტეგრირება-შეფასებას, შესასრულებელ ქმედებებზე რეკომენდაციების შემუშავებასა და შესაძლო შედეგების პროგნოზირებას;

საკუთარი ინტელექტუალური და კულტურული უნარების გამოყენების საფუძველზე **ავლენს** პროფესიული განვითარების, თვითგანვითარების, თვითრეალიზაციისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის მზადყოფნის, ასევე პროფესიული კარიერის დაგეგმვის უნარს;

ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ მიღებული შედეგების განზოგადებისა და კრიტიკული შეფასების, აქტუალური პრობლემების გამოვლენისა და ფორმულირების საფუძველზე **ამზადებს** არგუმენტირებულ დასკვნებსა და პრეზენტაციებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე;

გამოიმუშავებს უცნობ ან მულტიდისციპლინარული გარემოში უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისა და გუნდური მუშაობის პროცესში ლიდერობის, პიროვნებათაშორის კომუნიკაციის და საკომუნიკაციო არხების შეფასების უნარს.

უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები;
თანამშრომლობითი (cooperative);
ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
შემთხვევების შესწავლა (Case study);
გონებრივი იერიში (Brain storming);
როლური და სიტუაციური თამაშები;
დემონსტრირება;
ინდუქცია;
დედუქცია;
ანალიზი;
სინთეზი;
ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;
წერითი მუშაობა;
ახსნა-განმარტება;
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება

https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeб.php

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია
<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერად, ანალიტიკოსად:

- სახელმწიფო, სამთავრობო დაწესებულებებში და უწყებებში;
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- ადგილობრივ და უცხოურ სადაზღვევო, საშუამავლო, სადისტრიბუციო, საფინანსო, აუდიტორულ კომპანიებში, კორპორაციებში, საინვესტიციო ფონდებში, საექსპორტო-საიმპორტო სააგენტოებში;
- ანალიტიკურ სტრუქტურებში;
- სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- ეკონომიკის სხვადასხვა დარგის სახელმწიფო და კერძო საწარმოებში;
- მცირე და საშუალო ბიზნესში;
- არასამთავრობო სექტორში;

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 27

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
	ძირითადი სასწავლო კურსები					
1	მენეჯერული ეკონომიკა	არ აქვს	5			
2	კვლევის მეთოდები ბიზნესში	არ აქვს	5			
3	მეწარმეობა და საწარმო	არ აქვს	5			
4	მარკეტინგის მენეჯმენტი	არ აქვს	5			
5	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და მართვა	არ აქვს	5			
6	მიწოდების ჯაჭვის მართვა	არ აქვს		5		
7	კრეატიული მენეჯმენტი	არ აქვს		4		
8	რეკლამა და პრომაცია	მარკეტინგის მენეჯმენტი		5		
9	კორპორაციული ფინანსები	არ აქვს		6		
10	ინოვაციური მენეჯმენტი	არ აქვს		5		
11	საგადასახადო პოლიტიკა	კორპორაციული ფინანსები			5	

12	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	არ აქვს			5	
13	სტრატეგიული მენეჯმენტი	მენეჯერული ეკონომიკა			5	
14	მმართველობითი (შიდა) აუდიტი	არ აქვს			4	
15	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	პირველი და მეორე სასწავლო სემესტრით გათვალისწინებული სასწავლო კურსები			6	
არჩევითი საგნები						
16	ბიზნესის მოდელირება	არ აქვს	5			
17	ციფრული ბიზნესის მარკეტინგი	არ აქვს				
18	ფინანსური ანგარიშგება	არ აქვს				
19	საერთაშორისო მენეჯმენტი	არ აქვს	5			
20	ფინანსური მოდელირება და აუდიტი	არ აქვს				
21	ბრენდის მენეჯმენტი	არ აქვს				
22	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	არ აქვს				
23	ხარისხის მენეჯმენტი	არ აქვს			5	
24	რისკოლოგია	არ აქვს				
25	ბიზნესის უსაფრთხოება	არ აქვს				
26	ბიზნესის ანალიზის სტატისტიკური მეთოდები	არ აქვს				
27	გაყიდვების მენეჯმენტი	არ აქვს				
			სემესტრში	30	30	30
					90	
კვლევითი კომპონენტი						
სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა		სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო კურსები.			30	
			სულ:		120	

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო	სასწავლო კურსი	ფუნ	საათი
---	----------	----------------	-----	-------

	კურსის კოდი			ლექცია	სემინარი (ჯგუფში მოშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	BUA36513G3-LSK	მენეჯერული ეკონომიკა	5/125	15	15				15	1	2	77
2	BUA38613G 2-LSB	კვლევის მეთოდები ბიზნესში	5/125	15	10		20			1	2	77
3	BUA42513G2-LS	მეწარმეობა და საწარმო	5/125	15	30					1	2	77
4	BUA32413G1-LSP	მარკეტინგის მენეჯმენტი	5/125	15	15	5			10	1	2	77
5	BUA40413G1-LSP	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და მართვა	5/125	15	14	16				1	2	77
6	BUA38113G2-LSP	მიწოდების ჯაჭვის მართვა	5/125	15	22	8				1	2	77
7	BUA36413G3-LS	კრეატიული მენეჯმენტი	4/100	15	15					1	1	68
8	BUA57113G1-LS	რეკლამა და პრომაცია	5/125	15	30					1	1	78
9	BUA26713G1-LP	კორპორაციული ფინანსები	6/150	30		27			3	1	2	87
10	BUA33213G1-LSP	ინოვაციური მენეჯმენტი	5/125	30	12	3				1	2	77
11	BUA10213G1-LS	საგადასახადო პოლიტიკა	5/125	15	22	8				1	2	77
12	BUA37413G2-LS	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	5/125	15	30					1	2	77
13	BUA32113G1-LSP	სტრატეგიული მენეჯმენტი	5/125	15	24	6				1	2	77
14	BUA10313G1-LSP	მმართველობითი (შიდა) აუდიტი	4/100	15	11	4				1	1	68
15	BUA44413G1-R	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	6/150			15		30		1	2	102
16	BUA42613G2-LS	ბიზნესის მოდელირება	5/125	15	30					1	2	77
17	BUA57213G1-LS	ციფრული ბიზნესის მარკეტინგი	5/125	15	30					1	2	77
18	BUA10113G1-LSP	ფინანსური ანგარიშგება	5/125	15	15	15				1	2	77
19	BUA32213G1-LSP	საერთაშორისო მენეჯმენტი	5/125	15	24	6				1	2	77
20	BUA14313G1-LB	ფინანსური მოდელირება და აუდიტი	5/125	15			30			1	2	77
21	BUA32913G1-LSP	ბრენდის მენეჯმენტი	5/125	15	20	10				1	2	77
22	LEH12512G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	5/125	15		30				2	2	76
23	BUA33713G1-LS	ხარისხის მენეჯმენტი	5/125	15	30					1	2	77
24	BUA26213G1-LS	რისკოლოგია	5/125	15	30					1	2	77
25	BUA40713G1-LSP	ბიზნესის უსაფრთხოება	5/125	15	15	15				1	1	77
26	BUA38713G 2-LSP	ბიზნესის ანალიზის სტატისტიკური მეთოდები	5/125	15	8	22				1	2	77

27	BUA32513G1-LSP	გაყიდვების მენეჯმენტი	5/125	15	22	8				1	2	77
----	----------------	-----------------------	-------	----	----	---	--	--	--	---	---	----

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

მერაბ მიქელაშვილი
ნინო ქავთარაძე

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

მიღებულია

ბიზნესინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
04.07.2012წ. ოქმი №5

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

მოდირიგებულია

ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
22.12.2021წ. ოქმი №14

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე